



საპარლამენტო უმრავლესობის "ნამდვილი" და "მორვენიტი" სახე

A2



ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა

A2



"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები

A8

www.24hours.ge

# 24საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

სამგაბათი, 20 სექტემბერი, 2005 წელი. №209 (1069)

ფასი 50 თეთრი

## ახვები

ფოტის კორექტიონი ადამიანის ცხოვრებას უკეთესი თანამშრომლობის ურთიერებას

საწარმოში მიმდინარე რეორგანიზაციის მოტივი, ფოტის საზღვაო ნავსადგურის ადმინისტრაციამ 2004 წლის ბოლოსა და 2005 წლის დასაწყისში სამსახურე თანამშრომელი გაათავისუფლა.

A2

## ახვები

მოსკოვი სტრატეგიის ცვლის - მინარეთ სოხუმში

მოსკოვისა და სოხუმის ურთიერთობათა ძველი მოდელის არაფერს უკმარისად ჯერ კიდევ აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს დამტკიცდა.

A3

## ეკონომიკა

"კავკასიონი" ალარ გვიღალატებს



ენერჯეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელ 500-კოლოვოლტის მაგისტრალურ ელექტროგადამცემ ხაზს "რევიზია ჩაუტარა".

A5

## პროექტი

რეფორმა მსს აკადემიაში (2005)

მსს აკადემიაში რეფორმის მთავარი მიზანია სასწავლო პროცესში გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემის შექმნა, რათა კორუფციის გარეშე შესაძლებელი იყოს ყველა პოლიციელის საბაზისო, სპეციალური და პერიოდული ნერტა.

A4

## აინფი

	20/09	21/09
თბილისი	29	30
ტყიბული	27	27
სოხუმი	26	27
დვანისი	23	24
გორი	24	24
ონი	23	22
ზუბდიდი	30	30
ახმეტა	28	28
ბაბრა	23	23
სამტრედი	30	30

უცხოური ვალუტის რეკორდული კარგი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7852
ვიკრი	2.1651
ბრაზილი	3.2126
რუბლი	0.0627

ახვები	A 2
ახვები	A 3
სამართალი	A 4
ეკონომიკა	A 5
ანტიკრიზისი	A 6
რევიზია	A 7
სხვადასხვა	A 8

## რა ხდება სინამდვილეში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში

ვლადიმერ სოკოვი "THE WALL STREET JOURNAL"

ორივე კვირის წინ საქართველოში, შეიარაღებულ და სეპარატისტულად განწყობილ რეგიონებში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვიყავი. ხოლო რაც იქ ვნახე, სხვა არაფერი იყო, თუ არა საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და მსოფლიო წესრიგის გამუდმებული დარღვევა ახალი რუსული modus operandi-ს დარტყ-

მების ქვეშ. მარტივად რომ ვთქვა, მეთოდი, რომელზეც ვსაუბრობ, რუსეთის ფედერაციის მიერ მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის შეთანქვას გულისხმობს. ვერჯერობით, ეს უმძლეეს დონეზე არ ხორციელდება, თუმცა, შედეგად, ეს ქმედებები აუცილებლად "კანონიერად" გამოიყენება. საქართველო, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო, კურსი დასავლეთისკენ აეღო, პირველ საწარმოებელ კურსად იქნა გამო-

ყენებული. დასავლეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები ამ ყველაფერზე თვალის დახუჭვას თუ კვლავაც გააგრძელებენ, და თუ აქ პირველი პრეცედენტი შექმნება, მაშინ იგივე ქმედებები სხვაგანაც აუცილებლად განხორციელდება. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ყველაფრით ღარიბია, გარდა იარაღისა, და რუსეთის სპეცსამსახურების მიერ კონტროლირდება (მოქმედებს სპეცსამსახურების დანაშაულებები და გავრცელებული შე-

რწყმის ცნობილი სქემა). აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შთანქვმა (ჩრდილოეთ ოსეთთან დამატებით, რაც რუსეთის ტერიტორიაზეა), მოსკოვს იმ ორ მთავარ პლაცდარმს აძლევს, რაც საქართველოს გასაკონტროლებლად არის აუცილებელი. საქართველო კი, თავის მხრივ, ევროატლანტიკური საზოგადოებისათვის სტრატეგიული ღირებულების მქონეა.

ბაზრძალა A3 ბაზრძალა

## ცხინვალში სეპარატისტების დამოუკიდებლობას უცხობენ

ინო გომარათელი

დღეს ცხინვალში სეპარატისტების ზეიმი. ისინი "დამოუკიდებლობის დღეს" აღნიშნავენ. თბილისში წლის წინ, 20 სექტემბერს, მიღებულ იქნა დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. "ოსები ჯერ უნდა გაერკვნენ, თუ ვისგან არიან დამოუკიდებლები", - აცხადებს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

"ცხინვალის შესასვლელში დგას უზარმაზარი აბრა, რომელზეც პუტინის სურათია გამოსახული შემდეგი წარწერით - "პუტინი ჩვენი პრეზიდენტია."

ბაზრძალა A3 ბაზრძალა



ჩვეულებრივ სეპარატისტთა ზეიმი ხანმოკლე და ავისმომასწავებელია (მათთვის)

## მონიტორინგის საბჭო იუსტიციის მინისტრისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის გადადგომას მოითხოვს

მონიტორინგის საბჭო და სახალხო დამცველის აპარატი აქამდე მხოლოდ შოთა კოპაძის დანაშაულებრივ საქმიანობაზე საუბრობდნენ და იუსტიციის მინისტრს მისი თანამდებობიდან მოხსნისა და პასუხისმგებლობის მიცემის რეკომენდაციით მიმართავდნენ. არასამთავრობოები ახლა უკვე კატეგორიულად ითხოვენ კოტე კემულარიას მინისტრობიდან გადაყენებას. "უნდა დადგეს კოტე კემულარიას პასუხისმგებლობის საკითხიც, რადგან იგი საერთოდ ვერ ერკვევა, რა ხდება მის უწყებებში და ვერ აკონტროლებს სიტუაციას," - ასეთია მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარის თეა თუთუბიძის აზრები.

ასეთი კატეგორიული მოთხოვნის მიზეზი გახლავთ იუსტიციის მინისტრის მიერ საბჭოს წევრთა არგუმენტირებული რეკომენდაციების იგნორირება, კოპაძის მფარველობა, მეტიც - პირიქით, მათი კორუფციით დადასაშულება და, რაც მთავარია, სექტემბრის თვეში უკვე მეორე პატიმრის გარდაცვალება.

ბაზრძალა A4 ბაზრძალა



თეა თუთუბიძე შოთა კოპაძის ფონზე

## ახალი წლიდან ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის ახალი მეთოდები ამოქმადდება

ამასობაში კი, გლეხი საშველს ითხოვს

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოლიძე მთავრობის მიერ მეღვინეობის დარგის მოწესრიგებისთვის აღებული კურსს დადებითად აფასებს. გუშინ მან, სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. მთავრობისთვის საკვანძო პრობლემა ისევ ქართული ღვინის პრესტიჟის და ხარისხის გაუმჯობესება რჩება. ამის ფონზე კი, კახელი გლეხების ნომერ პირველი საზრუნავი კვლავაც მოსავლის რეალიზაციაა.

დინა ჩარაია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოლიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობამ მეღვინეობის დარგის მონეტარიზაციის სწორი პოლიტიკა აირჩია, როდესაც ფალსიფიკირებულ ღვინის აქტიური ბრძოლა გამოუცხადა. "ჩვენ სამი თვის განმავლობაში აქტიური ბრძოლა გამოუცხადეთ ფალსიფიკაციას და ამ პერიოდში 500 ტონაზე მეტი ფალსიფიკირებული ღვინის მასალა გადავვარეთ," - მიმართავდა ნოლიძე გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" შეკრებილ ღვინის მწარმოებლებს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს, 600-მდე ღვინის ნიმუში შემოწმდა და 500 ტონამდე ფალსი-

ფიკირებული ღვინის პროდუქცია გადაიღვარა.

გუშინ სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიშიდელი ღვინის ფალსიფიკაციის შემოწმების ახალ მეთოდებზე საუბრობდა. "დადგინდება სპეციალური პარამეტრები, რომლითაც ღვინის შესწავლა მოხდება. თუ ღვინო არსებული პარამეტრებიდან ერთს მაინც ვერ დააკმაყოფილებს, ის ფალსიფიკირებულად ჩაითვლება. მე ვერ დავუშვებ, რომ ქვეყანაში ფალსიფიკირებული ღვინი არსებობდეს. ყველა ფალსიფიკირებული ღვინი გამოვლენილი და განადგურებული იქნება," - იმუქრებოდა გუშინ სოფლის მეურნეობის თავკაცი.

ბაზრძალა A5 ბაზრძალა

## მძღოლების "მემარჯვენე" ბუნდი

გუშინ დილით, თბილისის სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლები რიყეზე შეიკრიბნენ. მათი თქმით, თანდათან ფართოვდება ქურების ის ჩამონათვალი, სადაც მათ გადაადგილება ეკრძალებათ. რუსთაველის, მელიქიშვილის, კოსტავას და ჭავჭავაძის გამზირების შემდეგ აკრძალვა უკვე ქალაქის სხვა ცენტრალურ უბნებსაც შეეხო. გამაფრთხილებელი აქცია ექვსი მძღოლის დაკავებით დასრულდა. მათგან ხუთი მალევე გაათავისუფლეს, მეექვსეს კი, ადმინისტრაციული დარღვევების ბრალდებით, სასამართლო ადმინისტრაციულ სასჯელს დააკისრეს. მძღოლებს თბილისის მერის გივი უფლავეც ესტუმრა. იგი და ქალაქის ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელი აცხადებენ, რომ სამარშრუტო ხაზების შემცირება და გაუქმება არ იგეგმება.

თამარ დვალი

სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლების აქცია, რომელიც რიყეზე დაიწყო და თბილისის მერისთან უნდა გაგრძელდებოდა, ისინი პოლიციასთან დასრულდა. იმის გამო, რომ საპატროლო პოლიციამ რამდენიმე მძღოლი დააკავა და მერიისკენ მიმავალი გზაც გადაკეტა, მძღოლები იძულებულნი გახდნენ, ისანი-სამგორის რაიონულ პოლიციასთან შეკრებილიყვნ-

ენ. მას შემდეგ, რაც დაკავებულები გაათავისუფლეს, აქციის მონაწილეებმა პოლიციის მიმდებარე ტერიტორია მალევე დატოვეს.

მძღოლებთან მივიდა თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე გიორგი მოსიძე, რომელიც მათთან საუბრობას აცხადებდა, რომ სამარშრუტო ტაქსების ბიზნესი მომგებიანია და ხელისუფლება მის ხელში ჩაგდებას ცდილობს.

ბაზრძალა A2 ბაზრძალა

## გამარჯვენა მცირეკომპანიის სხვაობით

სახელმწიფო არჩევანი თუ ყოყმანით მიღებული გადაწყვეტილება

ხათუნა ბაბიჯი

გერმანიის ვადამდე საპარლამენტო არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატების გამარჯვება არც ისე შთაბეჭდავი აღმოჩნდა, როგორცაც ზოგადად ელოდნენ. ხმათა 35.2 პროცენტი, რომლის მოპოვებაც მერკელის პარტიამ შეძლო, დამოკიდებულად მთავრობის ფორმირების საშუალებას არ იძლევა. გერმანულ პარილიამ კი დამაჯერებელი წინასაარჩევნო კამპანიის წყალობით, ხმათა 34.3 პროცენტის მოპოვება შეძლო, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს ამ მაჩვენებლით ბუნდესტაგში მხოლოდ 222 სადეპუტატო მანდატის მოპოვება შეუძლიათ. ეს კი, თავის მხრივ, 3 მანდატით ნაკლებია არჩევნებში გამარჯვებულ ქრისტიან-დემოკრატების მაჩვენებელთან. რაც შეეხება სხვა პარტიების პროცენტულ მაჩვენებლებს, ასეთია - თავისუფალი დემოკრატების პა-

რტია - 10 პროცენტი ანუ 61 ადგილი, მწვანეთა პარტია - 8 პროცენტი. 8 პროცენტის მოპოვება შეუძლო ცოტა ხნის წინ ფორმირებულმა მემარცხენეების პარტიამაც. ამდენად, გერმანიის მომავალი ხელისუფლების ბედი მთლიანად პოლიტიკურ ძალთა შეთანხმებასა და კოალიციებზეა დამოკიდებული.

თუ არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ გერმანულ მერიდენტისა და ანგელა მერკელმა კი დამაჯერებელი ვიმსჯელებით, საქმე კომპრომისის გამონახვის არცთუ მარტივ ვარიანტთან შეიძლება გვეკონტაქტოს. განცხადებები კი ორივე მხარის მიერ მართლაც მიკეთი იყო.

"გერმანული ხალხისთვის ახლა უმთავრესია, სტაბილური ხელისუფლების შექმნა შევძლოთ და სახეობით ცხადია, რომ ჩვენ ეს უფლება მოვიპოვეთ," - განცხადდა ანგელა მერკელმა.

ბაზრძალა A2 ბაზრძალა













